

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური

დ. ხარაგაული, 9 აპრილის 15

ტ.: 2 15 40;

N 8 „ 25 “ მარტი 2014 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2014 წლის ბიუჯეტის
დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27
დეკემბრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მოხსენებითი ბარათი

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის # 470 განკარგულების საფუძველზე
ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის # 34 განკარგულებაში
– „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი
თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ და ხარაგაულის
მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1 955 347 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდათხუთმეტი ათას
სამას ორმოცდაშვიდი) ლარი, აქედან 84 744 (ოთხმოცდა ოთხი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარი უკვე შეტანილია ხარაგაულის 2014 წლის ბიუჯეტში, საპროექტო დოკუმენტაციისა და
საექსპერტო მომსახურების შესასყიდად, ხოლო დამატებით გამოყოფილი 1 870 603 (ერთი
მილიონ რვაას სამოცდაათი ათას ექვსას სამი) ლარიდან მიმართული იქნას 1 542 003 (ერთი
მილიონ ხუთას ორმოცდაორი ათას სამი) ლარი გზების მოასფალტებაზე, (მოასფალტდება
კიცხი–ხიდარი; ვარძია–წყალაფორეთი; ხარაგაული–ფარცხნალის მონაკვეთები) 248 600 (ორას
ორმოცდარვა ათას ექვსასი) ლარი ბაღების მშენებლობაზე (ბაღები აშენდება სოფელ ხიდარსა
და წყალაფორეთში) და 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი ნაგავმზიდის შესაძენად.
2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის # 471 განკარგულებით სოფლის
მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარაგაულის
მუნიციპალიტეტს გამოეყო 770 163 (შვიდასსამოცდაათი ათას ას სამოცდასამი) ლარი, მათ
შორის:

1. გზების რეაბილიტაცია – 238,6 ათასი ლარი;
2. ხიდ-ბოგირები, ბონდები – 4,1 ათასი ლარი;
3. ტრაქტორების შეძენა – 21,0 ათასი ლარი;
4. ავტობუსების შეძენა – 11,6 ათასი ლარი;
5. სანიაღვრე არხების მოწყობა – 11,4 ათასი ლარი;
6. წყლის სისტემის მოწყობა (მილებისა და ავზების შეძენა) – 98,5 ათასი ლარი;
7. სარიტუალო დარბაზების მშენებლობა, მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა – 276,1 ათასი ლარი;
8. გარე განათების მოწყობა – 5,5 ათასი ლარი;
9. წისქვილების მოწყობა და აღჭურვა 11,3 ათასი ლარი;
10. სპორტული მოედნების მოწყობა – 1,5 ათასი ლარი;
11. კანალიზაციის მოწყობა და მილების შეძენა – 12,4 ათასი ლარი;
12. ომში დაღუპულთა მემორიალის გალავნის მოწყობა – 10,0 ათასი ლარი;
13. კლუბების შეკეთება და ინვენტარით აღჭურვა – 9,2 ათასი ლარი;
14. სასაფლაოების შეღობვა და თავშესაფარი ადგილების აგება – 15,4 ათასი ლარი;
15. სოფლის სახლის მოწყობა – 4,8 ათასი ლარი;
16. სოფლის გაზიფიცირება – 17,4 ათასი ლარი;
17. მოსაცდელების მოწყობა – 17,8 ათასი ლარი;
18. სხვა დანარჩენი – 3,5 ათასი ლარი.

ე.ი სულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დამატებით გამოეყო 2 640 766 (ორი მილიონ ექვსას ორმოცი ათას შვიდას სამოცდაექვსი) ლარი.

3. მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების დირექტორების მომართვის თანახმად საჭიროა დამატებით სუბსიდიის გამოყოფა 39,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 2,0 ათასი ლარი; (სტუდია „ჰარმონიის“ ფინანსური მხარდაჭერისათვის, სიმფონიური ორკესტრის მოსაწვევად)
- ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი - 5,0 ათასი ლარი; (სხავადასხვა ღონისძიების მოსაწყობად)
- სსიპ ბორის სკოლა-პანსიონი - 5,0 ათასი ლარი; (ხელფასების მოსაწესრიგებლად)
- ა(ა)იპ „სათნოების სახლია- 2,0 ათასი ლარი; (დამატებითი ვალდებულებების ასაღებად)
- ა(ა)იპ ხალხური შემოქმედების სახლი - 5,8 ათასი ლარი; (საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად)

- ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა 20.0 ათასი ლარი; (პროექტი „დედაქალაქი–რეგიონებისათვის ”)
 - 4. მუნიციპალიტეტში არსებული ეკლესია-მონასტრების სუბსიდირებისათვის 35,0 ათასი ლარი;
 - 5. წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. სკოლა-გიმნაზიის სუბსიდირება- 3,0 ათასი ლარი.
 - 6. მიკროავტობუსის ხარჯის სუბსიდირება - 3,3 ათასი ლარი; (შ.კ.ს. „ხარაგაული -2011“)
 - 7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2014 წლის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოებისათვის საწვავის ხარჯის გამოყოფა - 1,0 ათასი ლარი;
 - 8. საკრებულოს კომისიებისათვის საწვავის ხარჯის გამოყოფა - 3,0 ათასი ლარი;
 - 8. ახალშობილების სოციალური დაცვის ხარჯები - 8,0 ათასი ლარი;
 - 9. ვეტერანთა სოციალური დაცვის ხარჯები - 7,0 ათასი ლარი (კომუნალურები)
 - 10. უბისის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად მიწის შეძენა 8,0 ათასი ლარი;
 - 11. კინოთეატრის შენობაში წყლისა და ელექტროენერგიის დაერთება – 9,9 ათასი ლარი.
 - 12. მუნიციპალიტეტის 20 ტ/ერთეულში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად საჭიროა 182,0 ათასი ლარი.
- მათ შორის:**
- გზების რეაბილიტაცია - 114.1 ათასი ლარი;
- წყლის სისტემის მოწყობა- 26, 5 ათასი ლარი;
- ზვარის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 33,4 ათასი ლარი;
- ზვარის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია- 2,0 ათასი ლარი;
- სკვერების მოწყობა მოლითში - 6,0 ათასი ლარი;
- სულ დამატებითი ვალდებულებების ასაღებად საჭიროა 300,0 ათასი ლარი, აღნიშნული ვალდებულებების დასაფარავად გამოყენებული იქნას 2014 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთიდან 270,0 ათასი ლარი და შემოსულობების გეგმების ზრდიდან 30,0 ათასი ლარი, რადგან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულების მიხედვით შესაძლებელია დღეის მდგომარეობით შემოსულობების გეგმის გაზრდა 30,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის პროცენტებიდა მიღებული შემოსავლები გაიზარდოს 19,0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობები 11,0 ათასი ლარით, მათ შორის ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებული

შემოსავალის გეგმა 9,0 ათასი ლარით და მიწაზე უფლებების აღიარებიდან მიღებული შემოსავალი 2,0 ათასი ლარით.

- ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
- შემოსულობების ნაწილში 6 001,9 ათასი ლარი გაიზარდოს 2 670,8 ათასი ლარით და განისაზღვროს 8 672,7 ათასი ლარით.
 - ხარჯების ნაწილში 7 767,0 ათასი ლარი გაიზარდოს 2 940,8 ათასი ლარით და განისაზღვროს 10 707,8 ათასი ლარით.

საფინანსო—საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი